



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49.49222721

თარიღი:29/09/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის
მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის
ხათუნა კვაბზირიძის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **ხათუნა კვაბზირიძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მივლინებული იქნეს თურქეთში, ქალაქ ბურსაში, 2022 წლის 3-6 ოქტომბერს, ს.ს. „თუიაფი“-ს ორგანიზებით, საგამოფენო და კონგრეს-ცენტრში, რიგით მე-19 სოფლის მეურნეობის, მენერგეობის, რძის მრეწველობისა და რიგით მე-14 მეცხოველეობისა და აღჭურვილობების საერთაშორისო გამოფენაზე.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოში ს.ს. „თუიაფი“-ს წარმომადგენლობის 2022 წლის 28 სექტემბრის No21- Tif37, მიწვევის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

